

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაურია.

ივერია

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, № 21
ტფილისი, ივერია

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებებთან დასაბუჯდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამოვრც. საზოგადოების კანცელიარის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. შემთხვევად—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1896 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინადა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელიარისს,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარავსა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакция „ИВЕРІА“.

**გაზეთი კომიტეტის „ტფილისის
გაზეთის თაველ-აზნაურთა სა-
ზოგადოების ღირსი მოსწავლე-
თა შეგროვებისათვის“** აქვს პატივი
ამით აუწყოს წევრთა ამასოგადო-
ებისას, რომ **საზანაზანო საზოგა-
დო კრება** წევრთა დანიშნულია ამ
წლის 16 დეკემბერს, საღამოს 7
საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო
საადგილ-მამული ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) გურგინბეგოვის სახლის სეიდ-ვის შესახებ, სადაც ამ ჟამად იმყო-

ვება სათავად-აზნაურო სკოლა;
2) განხილვა პროექტებისა, რომე-ლიც წარმოდგინა უკანასკნელ წლი-ურ საზოგადო კრებას სათავად-აზ-ნაურო სკოლის ტიპის შესახებ და-ნიშნულმა კომისიამ
და 3) მოხსენება გამგე კომიტეტი-სა იმ საშუალებებზედ, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება საზოგადოების ვალის მალე გარდახ-და. (4—4).

პატივითი პირობის პირობა
3. ი. ზინინისა და მ-ნის მ. დ.

ჰეიქრობს. ბოლოს სანთელს თვალე-ბი მოაშორა, ღრმად ამოიოხრა და ზურას სურათი აიღო ხელში, ერთ-ხანს უტკირა, მერე მაგრად მიიკრა გულზე და გააქრეოლა.

ვერა, ვერ დაგივიწყებ, ჩემო ტან-ჯულიო ზურა! ოპ-მე, ნეტა ეხლა შე-ნი თავი დამანახვა! მაგრამ საიღამ დაგინახავ, შენს ქვეყანასაც-კი მოგა-შორეს. ვაი შენ, ჩემო ტანჯულიო ცხოვრებას! გულნიად წამოიძახა თე-ომ და თვალეზე ხელი მიიფარა. ცოტა ხანს იქით ერთი კიდევ ამოი-ოხრა და დღიური მოიმარჯვა.

დღიურს თავზე ეწერა:

„მეცა აჩას მარტობა სუფასა,
ოხვას აჩას შევა უბედურისა“.

თეო დიდხანს დააქერდა ამ თა-ვისს მიერვე ამონაწერ სიტყვებს და და მერე სთქვა: „დიად, ოხვრა არის შევა უბედურისა“, მაგრამ გა-ნა მე უბედური ვარ? არ ვიცი თა-ვისს გულში რა იფიქრა, მხოლოდ ხმა მალა-კი სთქვა. არც ჰო, და არც არაოა შემდეგ შეუდგა დღიუ-რის კითხვას. იქ სხვათა შორის ეწე-რა.

3 ენკენისთვე. დღეს ჩავიბარე სას-წავლებელი. მეტის-მეტად უყურად-ღებოდ იყო დატოვებული. ჩემზე წი-ნად ვილაც აა, „ასწავლიდა. საწყა-ლი ეტყობა მარტო კუჭის გასაძლო-მად ყოფილა აქა, რადგანაც, ჯერ ერთი, არაფერი გაუკეთებია და მეო-რეც; ხალხი მომღურებული ჰყავს. მე-კი მგონია, რომ სოფლის მასწავ-ლებელი მარტო ბავშვების მასწავლე-ბელი-კი არ უნდა იყოს, არამედ იმათ მშობლებისაცა. დღის წინაშე ჩვენ თითონაც არა ვართ დიდი ნას-წავლებელი, მაგრამ სინდისიერად მაინც

ილარიონოვისა.
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრუშესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3
და საღამოს 4—7 საათამდე.

ვკისრულე
ყოველ გვარს **სახარბილო სამ-მის**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არხებს, ვტვირთულობ აგრეთ-ვე **მამულაგის ბანკაში დაბირა-ვებას**.
მსურველთ მოკვამართან დაღის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

ახლოდ დაიბეჭდა და ისყიდება წე-რა-კითხვის გამავრცელებლის საზო-გადოების წიგნის მაღაზიაში:
ნ. ზარათაშვილის

ლექსები და წერილები.
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.

მამის ერთგული.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.

უნდა მოვეკიდნეთ ჩვენს მოვალეობა-სა, თორემ ზარალის მეტს სარგებ-ლობას ვერ მოვიტანთ... ეჭ, რამდე-ნი მასწავლებელია სოფელში, რომ საშუალო სასწავლებელიც არ გაუ-თავებიათ, ერთი რიგისი წიგნი არ წაუკითხავთ. მიღწევს თუ არა რა-მელიმე ზარმაცი მოწაფე სემინარიის მეთორე-მესემე კლასსა, მაშინათვე მა-სწავლებლად გამოიბის. ასე ჰგონიათ ხალხი შილაფლავი იყოს, რომ სკა-მონს.. ოხ, ღმერთო, რა დაუდევ-რები ვართ, ჩვენვე ვახდენთ ჩვენს საქმესა. იმის მაგივრად, რომ ხალხს თავი შევავყაროთ, გავაცნოთ თავისი ვინაობა, წარსული, დედა-ენის მნიშვნელობა, შევავყაროთ შრომა და აუუხსნათ აწინდელი მისი მდგო-მარეობა, პირ-იქით ან ვაშინებთ და ან ვუფრთხივ... ღმერთო, შენ შემა-ძლებინე სინდისიერად ავასრულო ჩემი მოვალეობა.“

გადაიკითხა თეომ, რამდენიმე წი-ნადღებდა წაშალა და კალამი მოიმა-რჯვა. იმ დღის დაკვირვება უნდა შეეტანა დღიურში.

ეს მეოთხე თთვე მიდიოდა, რაც თეო მასწავლებლად დანიშნეს. ეფე-მია ეუბნებოდა, ნუ გინდა მასწავლე-ბლობა, ჯავრიანათა ხარ და ვერ შე-სძლებო, მაგრამ თეოს გულს მარტო შრომა თუ გაართობდა. გარდა ამი-სა, ზურამდისინაც თეოს სანა-ტრელი საგანი იყო სოფლის მა-სწავლებლობა, პირველადვე გამ-წესდებოდა კიდევ, მაგრამ საკმარი-სად არ იყო მომზადებული, ნამეტ-ნავად ქართულ ენაში და ბრკოლ-დებოდა, თავის თავს ვერ ენდობო-და. ზურასთან დაახლოვებამ ხომ

მ ტ რ ე დ ი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.

ისყიდება სახლი
ერთ-სართულიანი, სამი ოთახი, მიწა ზომით 160 ოთხ-კუთხი საყენი-ქ ტფილისს, 9 განყოფილებაში შე-სამე თუმანოვის ქუჩაზე, № 18. სყიდვის მსურველთ მიმართონ ამავე ადრესით სახლის პატრონს მარიამ გრიგოლის ასულს ზურკოვისას.
(2—4004—2).

გამოვიდა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

- 1) „საჩუქარი“ (ლოქსთა კრება) მოზრდილ ყრმათათვის. შეკრებილი ი. გომელაურის მიერ. 48 გვერდი, ფასი ერთი შაური.
- 2) „ღემონი“ მ. ლერმონტოვისა. თარგმნილი მ. გურიელისა. ავტო-რის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურა-თით კარგს ქალაღღზედ. ფასი 10 კ.
- 3) „ქალები“ (ანუ ყველა მეცნი-ერთა და ფილოსოფოსთა თქმული და გაგონილი ქალების შესახებ). შეკრებილი თ. სახოკიას მი ერ. სურათით, მშვენიერს ქალაღღზედ 20 კ.
- 4) „რამდენიმე ლექსი“ ანდრო უჩაიშვილისა, ფ. 15 კ.

უფრო აღაფრთოვანა თეო, აკი ერ-თადაც აპირებდნენ სასწავლებლის დაარსებას, მაგრამ ნება-რთვა ვერ აიღეს, საქმე ჩვეულებრივად შეფერ-ხდა. ზურას დაქერის შემდეგ თეომ სოფ. ჩიტოვანში ითხოვა ადგილი.

ჩიტოვანელები სიხარულით მიე-გებნენ ახალს მასწავლებელს და მერე ისიც ქალს. ეს პირველი მაგალითი იყო ჩიტოვანელებისათვის, რომ იქ ქალი ყოფილიყოს მასწავლებლად. სოფლის დედა-კაცები მალი-მალ ინახულებდნენ ხოლმე თეოს და უკვირდით მისი სიმშვიდე, დაღვრე-მილი სახე და დაუღალავი შრომა. მალე ახლო-მახლო სოფლებშიაც გავარდა თეოს ქების სახელი და ყვე-ლა ქალებისათვის სამაგალითო შე-იქმნა.. მოწაფეები ერთი-ორად მო-ემატა. უხაროდა თეოს, რომ ხალხმა ასე შეიყვარა, უხაროდა და მის და-ჩ-გრულს გულს სიამოვნების შუქი ეფინებოდა.

რამდენად წაიწია სწავლის საქმემ წინა, ასე ადვილად და მოკლე დრო-ში ამა რა გამოჩნდებოდა, მხოლოდ ის-კი თვალ-ნათლივ ჩანდა, რომ თეო კვირა-შუქმე დღეს ჩაჯდებოდა ხოლმე ხალხში, ნამეტნავად ქალებ-ში და ხან წიგნებს უკითხავდა, ხან, უფრო ხშირად, პირადად უამბო-ბდა ხოლმე სხვა-და სხვა ამბებს.

— განათლდეს შენი დედ-მამის სუ-ლი და ავისრულდეს, შვილო, გუ-ლის საწადელი, როგორც შენ ჩვენ კარგ ამბებს გვეუბნებო, ეტყოდნენ ხოლმე სოფლის ხანში შესული მან-დილოსნები და მზად იყვნენ კაბის კალთა დაეკონათ.

— შენ თქვი ქალი, რამითი რამ იცის, შენი კირიმე დედავ! გაიკვირ-

ახალი ამბავი

*. შაბათს, 16 დეკემბერს, სა-ღამოს 7¹/₂ საათზედ, სათავად-აზნა-ურო ბანკის სადგომში მოხდებო სა-განგებო კრება „მოსწავლეთა დამ-ხმარებელ ტფილისის თავად-აზნაურ-თა საზოგადოებისა.“ კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი: 1) სყიდვა! გუ-რგინბეგოვის სახლისა, სადაც ამ ჟა-მად იმყოფება სათავად-აზნაურო სკო-ლა, 2) განხილვა პროექტებისა, რომელიც შეიმუშავა საგანგებო კო-მისიამ სათავად-აზნაურო სკოლის ტიპის შესახებ და 3) მოხსენება გა-მგე კომიტეტისა იმ საშუალებათა შე-სახებ, რომელთა შემწეობით შესაძლე-ბელი იქნება „საზოგადოების“ ვა-ლის მალე გარდახდა.

*. ოდესის გაზეთების სიტყვით, ბოლოს დროს სიმინდის ფასმა საგ-რძობლოდ დაიწია ოდესაში: ფუთი 51 კაპ. მაგიერ 47 კაპ. იყიდება; ამ ფასადაც ყიდვის მსურველი ცოტა არისო.

*. გაზეთ „ტფ. ლისტ.“-ის სიტ-ყვით, მომავალ წლიდამ ამიერ-კავკა-

ვებდნენ ხოლმე ახლოვანდა ქა-ლები.

— მარა, კოტრიკანთ ფეფუკა ხომ არა გგონია, ბეჩა, ქალს შვილჯერ-შვიდი შკოლა გაუთავებია, აუხსნიდნენ ხოლმე ისევ ხნიერები. ესა და ამგვარი ლაპარაკი, რასაკვირ-ველია, ბევრს არაფერს ნიშნავს, მხო-ლოდ ის ახარებდა თეოს, რომ დი-დებდაც-კი უყვარდებოდათ სწავლა და პატარეებს ხომ სულ იმას ეჩიჩი-ნებოდნენ:

— გოგო, შე სასიკვდილე, წადი თეოსთან, წიგნი წამაკითხე-თქო.

— გოგო, წადი, თეოს უთხარი, დედაჩემი ავად არის და ჩვენსა გად-მოდი-თქო.

სოფელი უთეოთ და თეო უსოფ-ლოდ ველარა სძლებდა. გამხნევდა, გაკაუდა თეო და იმ მტკბილი დღის მომლოდინე, როდესაც ზურა იმას-თან დაბრუნდებოდა, დაუღალავად შრომობდა. ყოველ დღე შემოუვლი-და ხოლმე სოფელს, გამოიკითხავდა სოფლელების გაქირვებას; ზოგს სიტ-ყვით ამხნევებდა, ზოგს საქმით ეხმა-რებოდა და თავისი დაკვირვებანი დღიურში შექმნიდა. ამ საღამოთიც თეომ პირ-და-პირ იმიტომ მიმართა დღიურსა.

გათავა თეომ წერა, დღიური და-კეცა, ადგა გულ-ხელი დაიკრიბა და ოთახში სიარული დაიწყო. ისევ ფიქ-რებში გაება.

„ღმერთო, ღმერთო, ერთი მალე დაამშვიდე ჩემი გული, წამოიძახა თეომ და დაუმატა, ნეტა მალე მა-ინც გათენდეს, ჩემი გოგონები მო-ვიდნენ და იმათთან ერთად გავერ-თოო.

გათენებას მგონი ბევრიც აღარ

ფელეტონი

ღმერთს საშარტალი არა აქვს?

(ამბავი)
ვუძღვნი ბ...ს...ს...ს.
დასასრული *)

ჩიტოვანის სასოფლო სასწავლებე-ლი მოთავსებული იყო ორ პატარა ოთახში. ერთში ფეხ-მოტეხილი, დამტვრეული სკამები ელაგა მოწა-ფეთათვის, მეორე-კი მასწავლებელს ეჭირა. ღარბიად მოწყობილ ოთახში იდგა ერთი პატარა მაგიდა თეთრის სუფრით გადაფარებული, ორი ხის ოთხ-კუთხი სკამი და ხისავე ტახტი. მარჯვნივ კუთხეში იდგა წიგნებისათ-ვის სკივრი. უფერული, მოღრუბლე-ლი იყო მთელი სადგომი. ალბად იგი თანაუგრძნობდა პატრონის უფე-რულს ცხოვრებას. სანთელივით ჩა-მომდნარი თეომისჯდომოდასტოლს, გადაეშალა თავისი დღიური და გაშ-ტერებით შესცქეროდა ანთებულს ლამპარს.

ჰეიქრობდა თეო! მისი ოცნება ძალიან შორს წასულიყო და იქ სა-პატიმროში მყოფ ზურას ზედ დას-ტრიალებდა. თეოს სახე ხან იღრუბ-ლებოდა, ხან-კი ღიმილი შეებარე-ბოდა ხოლმე და ამ დროს იმის დიდ-რონი თვალეები ოდნავ ბეუტავდა. მაგრამ აგერ ქუთუთოზე გადმოეკიდა ერთი ცრემლი, ამას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ცრემლის ნაკა-დულმა გადმოხეთქა. მაგრამ ისევ გა-უნძრევლად ზის თეო და კვლავ

*) იხ. „ივერია“ № 269.

სიის საქალბო ინსტიტუტში არსდებ... 13 სტიპენდია მოხელეთა და სამხედრო პირთა ობოლთათვის.

* * * „ნოვ. ობოზ.“-ის სწორედ შულავერიდამ, რომ ამ დამის საპატიო მცხოვრებთ თხოვნა მიუერთებდა...

* * * ახალ-სენაკი: ამ თვის შვილს აქ ჩამოვიდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი მამა დიმიტრი...

* * * იქილამვე გვწერენ, რომ ნ დეკემბერს, ვ. აბაშიძისა და ქ-ნის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით...

* * * ს. სკრა, (ქართლი): აგერ ერთი თვეა ხან წვიმს და ხან თოვლს; ამ ბოლო დროს საქმოდ აცივდა...

მცირე შენიშვნა.

რამდენიმე დღე იქნება, რაც ერთმა ჩემმა ამხანაგმა (უცხო ტომისამ) მითხრა: „ამა-ლა-ამ ოჯახში ბევრი ქართული წიგნები და ქალაღებია“.

ეს ჩემთვის დიდად სინტერესო იყო; ვინ იცის რა ნივთი, ან რა ქალაღებია. ვთხოვე როგორმე მოეხერხებინა იმ ოჯახის პატრონის გაცნობა...

გუშინ-წინ უცვებ მოპხდომილა შესვლა იმ ოჯახში (რუსის ოჯახია) და ცოტაოდენი ცნობა მომეწვდინა. მომიტანა ორი ბეჭდით დაბეჭდილი ქალაღი ლუქით, რომელსაც ამასთანავე ვგზავნი.

შუაგული ვარსკვლავებით არის მორთული, ხელზე ლომის მზგავსი ცხოველია გამოქრილი, როგორც გადმოცა ამხანაგმა.

მეორეს აქვს შემდეგი ფორმა: მეტი არავითარი ცნობა არა მაქვს ჯერ-ჯერობით;

ვეცდები ამ მოკლე ხანში გავიცნო ბ. ვასილიევის ოჯახი, დაწვრილებით გავიგო, გადავათვალიერო ყველაფერი და მერე დალაგებით ვამცნო პატრიცებულ ქართველ საზოგადოებას.

მალ. ბოლქვაძე.

უცხოეთი

იპარონია. ვლადივოსტოკიდან

ღლებს გაღვიძებას შესძლებსო. გამხნეებულნი წამოვდა აუარ-ჩაუარა მოწაფეებს და სკოლაში შესვლა უთხრა.

პატარები დაიჯიბრნენ და ვინ ვის გაასწრობდა აღარ იცოდა.

სიცოცხლე იყო თეოსათვის სასწავლებელი, მაგრამ თეოც-კი სული იყო მთელი სასწავლებლისა, მთელი სოფლისა!

გადიოდა დრო, ცხოვრება თავისებურად გულ-გრილად მიმდინარეობდა, მას აპკოლოდნენ ადამიანები და წაღმა-უკუღმა ტრილით თავსებურად დასხმულნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

— თავში ქვა იმან იცეს, ვინც გაჭირვებაშია, თორემ ჩვენ ქვაცა გვაქვს და კაალიცაო, ეძახდნენ ბედნიერნი ამა სოფლისა.

— ვაი ჩვენი ბრალიცა! ჩვენ როდის-ღა გვეღირსება ადამიანებში გვეკრივნეთ, ჩვენც დავსტკბეთ, სულის სიმშვიდე შევიძინოთო, ოხვრით გაიძახოდნენ დაჩაგრულები.

დრო-კი თითქოს დასცინისო, გარბოდა სარაქლემსებურად, დღე დამით იცვლებოდა, დამე დღეს ეცილებოდა, კვირა კვირას თავს უკრავდა და თვეები საუკუნის უფსკრულში იღუპებოდა.

ატყობინებენ „ნოვ. ვრემ.“: ლიატონგის ნახევარ-კუნძულის შესახებ ბჭობა ჰქონდათ წარმომადგენელს ჩინეთისას, ცნობილს ლი-ხუნ-ჩანგსა და იაპონიისას ხაიოშსა. სხდომის წინ ლი-ხუნ-ჩანგმა შეიარა რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის საელჩოში, სადაც მიიღო საჭირო დარიგებანი.

1) ჩინეთის მართებლობა ვალდებულია გარდაიხადოს იაპონიის სასარგებლოდ ოც-და-ათი მილიონი ტაელი (60 მილ. მანეთადის).

2) რუსეთს, საფრანგეთსა და გერმანიას არა აქვს ნება დაიკავონ ნახევარ-კუნძული. ჩინეთის მართებლობას არა აქვს უფლება დაუთმოს ლიატონგის ნახევარ-კუნძული არც ერთს სხვა სახელმწიფოს.

3) ტალიენვანი თავისუფალ პორტად უნდა იქმნეს დატოვებული.

4) ტატუნგისა და ტაქუნანის პორტი თავისუფალია საზღვარ-გარეთის ვაჭრობისათვის.

ინგლისის გაზეთებმა მიიღეს ოფიციალური ცნობა იაპონიისაგან კორეადამ ჯარის გამოყვანის შესახებ: „იაპონელებს თვით არა ჰსურთ დიდი ჯარი ჰყავდეთ კორეაში. იმათ დასტოვეს იქ იმდენი, რამდენიც საჭიროა ლიატონგის ნახევარ-კუნძულთან მისვლა-მოსვლისათვის. როგორც-კი რომ ევაკუაცია ამ ნახევარ-კუნძულისა გადავდებთ, იაპონელთა ჯარი წავა იაპონიაში და მხოლოდ რამდენიმე როტის დისტოვებენ სეულში თავის მისიის დარაჯად.

მარშანია. რეისტაგში შეუტანიათ რამდენიმე კანონ-პროექტი სოციალისტთა დებულებებს. იგინი თხოულაბენ, რომ სისხლის სამართლის სჯულ-დებამდამ გამოიცილეს იქმნენ ის სტატიები, რომელნიც სჯიან უდიდებულესობის შეურაცხყოფას, ყრილობათა თავისუფლებას, მუშათათვის დღეში რვა საათის მუშაობას. თხოულაბენ მოისპოს დიქტატორული რეჟიმი საიმპერია პროვინციებში. მიეცეს ამ პროვინციების პრესას თავისუფლება და მთელს გერმანიაში შემოდებულ იქმნას საყოველთაო საარჩევანო უფლება.

ნარკვევა

(ეურნალ-გაზეთებიდან.)

„ნოვ. ობოზ.“-ს გუშინდელს ნომერში დასტამებულია საყურადღებო წერილი ბ. გ. მ-სა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმართულების შეცვლის შესახებ. მკითხველებმა იციან, რომ წყალ-დიდობისაგან გზის გაფუჭების გამო ქუთაისამ ადრეა შუამდგომლობა, რომ რკინის გზამ ახალ-სენაკიდან პირდაპირ ქუთაისზე გაიაროს და შემდეგ ყვირილამდე მდინ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე. ინჟინერებმა ცუდის თვალთ შეხედეს ამ შუამდგომლობას, მაგრამ გარემოებამ თვით მიაქცია მათი ყურადღება რკინის გზის მიმართულების შეცვლაზე. 7 დეკემბერს მდინ. ყვირილა კვლავ მოდიდა და სრულიად წალეკა ყოველივე, რაც უკანასკნელ თვეში გააკეთეს, მთელი დამზადებული მასალა ხიდეთა გასაკეთებლად და სხვ.

შავი წერტილი. თეოს გულმა უცნაურად ტოკვა დაუწყაო. ახლოვდებოდა წერტილი. თეო თვალმად გადაიქცა. აგერ მოვიდა ვიღაც ყმაწვილი კაცი.

— ზურა! შეჭვილა თეომ. — თეო! ამოიგმინა ზურამ და ერთმანეთს გადახვივნენ. ოხ, ნეტარება იყო ეს წუთი!

დიახ, ახლად მოსული ყმაწვილი კაცი გახლდათ ზურა ქებაშილი. იგი ბევრი გამოკითხვა-წვალების შემდეგ უდანაშაულოდ ეცნოთ და განეთავიფლებინათ და ძაუგიდამ (კავკავი) ლიახვის ხეობაზე გადმოვიდა და პირდაპირ სოფლისკენ დაქანებულიყო, უფრო მალე ვნახავ ჩემს თეოსაო.

სუფთად მოწყობილ ლოგინში გადასვენებული იწვა ზურა. მას გვერდზე მოსჯდომოდა თეო და ნაღვლიანად ჩასტკეროდა თვალბში. იქვე სულ-გაკმენდილი იდგა რამდენიმე მოწაფე, რომელთაც სხვა-და-სხვა ნობათი მოეტანათ თეოსათვის. ეტყობოდა, რომ მთელი სოფელი მონაწილეობას იღებდა თეოს შუახარებაში.

საპურობილის მყარ პაერს, ათასგვარ გაჭირვება-სულიერ ბრძოლას სახარელი ზედ-გავლენა ჰქონია ზურაზე და ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა შინ. უწინდელ ზურასი აჩრდილი იყო, ჩამომხმარ-გაყვითლებულს თითქოს სიცოცხლეს ძალა-კი დაპყარგვოდა. მხოლოდ ჩადრმავებულ თვალბში გამოკრთოდა ძველებური სულის სიმტკიცე, ძველებური სიყვარული, განუსაზღვრელი შურისძიება მტარვალბის მიმართ, წყურვილი სიცოცხლისა, წყურვილი

ახლა ბბ. ინჟინერთ განუზრახავთ გამოიკვლიონ ყვირილას მარჯვენა ნაპირი და ამ მიმართულებით გასწავრონ თავისი დიდი შეცდომა. მაგრამ აქაც ბბ. ინჟინერები ჯიუტობენ და ჰსურთ მაინცა და მაინც თავისი გიტანონ.

„საქმე იმაშიაო, ამბობს ბ. გ. მ., რომ თუ ძველი მიმართულება დატოვებულ იქნა, ყვირილის სადგურიდამ უთუოდ გზა პირ-და-პირ ქუთაისზე უნდა წავიდესო, მაგრამ ინჟინერთ ჰსურთ ისევ რიონის სადგურისკენ მოახვევიონ გზას. გაიყვანენ გზას რიონზე თუ ქუთაისზე, ამით გზას ერთი და იგივე მანძილი მოემატება, სულ ერთია ორივე მიმართულებით გზას 6 ან 7 ვერსი მოემატება... მაგრამ ერთი და იგივე არ არის რიონზე გაივლის გზა თუ ქუთაისზე... უკანასკნელს შემთხვევაშიო, ამბობს ბ. გ. მ., შესაძლებელი იქნება სხვა ადგილას მოაკლდეს გზასაო.

„ახლა ყვირილასა და ახალ-სენაკს შუა 83 ვერსია. თუ გზა რიონზე წავიდა ყვირილას მარჯვენა ნაპირით, გზას მოემატება 7 ვერსი, ესე იგი ახალ-სენაკამდე იქნება 90 ვერსი. ხოლო თუ პირ-და-პირ ქუთაისზე და იქედამ ახალ-სენაკამდე გაიყვანეს, ისე 83 ვერსი იქნება. ინჟინერები იტყვიან, მაშინ ახალი გზა უნდა გავაყოთოთ ქუთაისიდან ახალ-სენაკამდე, რაც ძვირად დაჯდებაო. მართალია, მაგრამ მაშინ რიონის შტოს გაუქმება შეიძლება. ეს გზას 8 ვერსს მოაკლდეს; თუ ამას მივუმატებთ 7 ვერსს, რომელიც მოაკლდება გზას ქუთაისიდან პირ-და-პირ ახალ-სენაკამდე გაყვანის დროს, მივიღებთ 15 ვერსს ეკონომიას. ხოლო რადგანაც ბათუმისკენ გზას მოემატება ორი-სამი ვერსი, გზა შემცირდება 12 ვერსით, რაც შეადგენს 100 ათასის მან. ეკონომიას.“

დაუზმატოთ ყოველივე ამ მოსახრებას მცხოვრებთა მრავალი ინტერესი, ქუთაისის მომავალი სეპ-ბედი და ცხადად დავინახავთ იმ დიდას

თეოს მზერით დატკობისა!

ზურა იწვა გაუძმრგვლოდ. თვალბი მიეღულნა და გაძმელებულად სუნთქავდა. თვითვეული მისი გაძმელებული სუნთქვა ლახვარით უფლიდა გულში თეოსა. გაჭკრა თეოსთვის ოცნება, მარტო ფიქრით აღარ ეალერსება თავისი სატრფო. დღეს მის გვერდით არის, მაგრამ... ჩამომდნარი, განახევარკაცებული ოპ, როგორ იტახჯება!

თეომ დიდხანს უცქირა ზურას. გაითვალისწინა ის ტახჯვა-ვაება, რომელიც მათ გამოიარეს, გაიხსენა ყველა ბეი და კარგი, რაც უზურაოდ გადაჰხედოდა, მოაგონდა სულ უბრალო რამეც-კი, რომელიც მათ ცხოვრებაში ყოფილიყო, გულმა საშინლად დღევა დაუწყაო. ნუ-თუ ამდენი ტახჯვა-ვაების შემდეგ სრულიად უბედურნი შევიქნებთ? გაიფიქრა თეომ, ტანში ურიაშულმა დაუარა, ყურებმა რეკვა დაუწყაო, სული შეეხუთა. ვეღარ გასძლო ზურას ცქერა და ფეხ-აკრებით გარედ გამოვიდა. ვერა, ვერა, მე ვეღარ ავიტან, უწინ დემემელიოს, ზურას რომ რამე დემართოს. ან-კი რას ვამბობ? რადა ვწუხვარ? ჩემი სული ზურას სულში დგას და თუ ზურას რამე მოუვა, მეც სიამოვნებით მოვკვდებიო, ბუტბუტებდა თეო და თვალბი ცრემლბით ევსებოდა.

გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო, სიო წყნარად იძროდა. გარედ გამოსულს თეოს შუბლი გაუფრიდა, შავი ფიქრები გადაეფერს და სასწავლებლის მიდამოს გადაავლო თვალი. „ჩემი შვიდი თთვის ნაამაგარივი სკოლა, ჩემი მოწაფენი... ძალიან-კი ვუყვარვართ, მაგრამ ნეტა თუ დავტოვებ

პატარა ბავშვი. ხელმწიფე იმპერატორი დაესწრო დღეს ფინლიანდის ლეიბ-გვარდიის პოლიის პარადს.

გზათა სანინისტროს ატყობინებენ, რომ ხელახლად მოსულ წვიმების გამო მოდიდებულმა მდინარეებმა იმდენი ვერა ავენს-რა რკინის გზის ლიანდაგს, რამდენსაც მემბს ავრცულდებენ.

20 სექტემბერს 1825 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში აღნიშნულნი არიან: გრიგოლ გიორგის ძე და შვილები მისი: ლეონტი, იოსებ, გიორგი და ფრიდონი.

4 მაისს 1849 წ. და 8 დეკემბერს 1886 წ. უმაღლესის სენატის გადაწყვეტილებით თავადთა სიაში ჩაირიცხნენ: 1) ნიკოლოზ და ათანასე ლეონტიძის ძენი და 2) მისივე იოსების ძე და შვილები მისნი მისივე და თამარი.

6 დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში აღნიშნულნი არიან: დანაბნენი თავადნი ვახუშტისძენი.

ბელზადი. როგორც ხმა დღის, ამ სამის დღის წინაღ, სერბიის სახალა? ნუ თუ ისე მოგვედებო, რომ ჩვენს ღარიბ საზოგადოებას ვერაფერში გამოვადგებო! ნუ-თუ ისე მოვეცდებო, ჩემო თეო, რომ შენი ცქერით ვერ გავძლევ? ოხ, მტარვალეო, მტარვალეო, რამდენ ადამიანს უღებოთ ბოლოსა, წამოიძახა ზურამ და თეოს გაუმიძღარის სიყვარულის თვლით შეხედა.

ნუ ამბობ, ნუ მაგას, რა დროს სიკვდილია. ვერა ხედავ, როგორი ბედნიერები ვართ, მთელი სოფელი ჩვენ შემოგვცქერის! ოხ, ზეციერო მამო, შენ გვაკმარე ტანჯვა-ვაგება? გულ-მზურვალედ წამოიძახა თეომ ღმერთს გადაეხვია.

არა, არა, მე არ მინდა სიკვდილი? მე უნდა სამაგიერო გადავუხადო ჩვენს მტარვლებს, საშვილი-შვილოდ გიდავცე მათდამი შურისძიება. ღმერთო, ღმერთო, შენ მომეცი ძალი ღმერთო, თეო, შენ გამამხნევე, სამშობლოს ჰაერო, შენ გამკურნე. მე მწყურებინ, მწყურებინ სიკაცხლე! ნაღვლიანად გაიძახოდა ზურამ.

იქნება ეს უკანასკნელი გაბრძობა? იყო, მაგრამ იმედი, იმედი ტკილი არა სტოვებდა თეოს. იგი კვლავ გატაცებით დაეკონა ზურამ ავადმყოფს, მღელვარე მკერდს და ცრემლი დააპკურა. ეს იყო ცრემლი სათნოებისა და თავ-განწირვისა, ეს იყო უკვდავი მსხვერპლი უკვდავის სიყვარულისა!

თამაზთ კობა.

95 წ. ღვინობისთვის.

ქ. მოსკოვი.

წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. იმედა ბათუმის ქართველობა არ დასტოვებს უყურადღებოდ და დროულად მანქანის თავისს წვლელს წიგნთ-საცავის დასრულებისათვის.

სამართლმოს თავადნი.

თავადნი ვახუშტისძენი. საქართველოს მეფის შაჰ-ნავაზის 1663 წლის გუჯარში ბაზაქთ-უსურქისა დათუნ-სანინისა და შიღინის მისნი დაჯიოთ, სანინა, ზაჰა, ლეონტი, რეჰანი და ბერი ვახუშტისძენი თავადებად არიან წადებულნი.

ვახუშტისძეობა გვარს მოხსენებულს ვახუშტის თავადთა სიაში, როგორც სანინს ამ ტრაქტატის დამატებად, რომლითაც შეეკრნენ ირაკლი II და რუსეთის მთავრობა 24 ივლისს 1783 წელს.

20 სექტემბერს 1825 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში აღნიშნულნი არიან: გრიგოლ გიორგის ძე და შვილები მისი: ლეონტი, იოსებ, გიორგი და ფრიდონი.

4 მაისს 1849 წ. და 8 დეკემბერს 1886 წ. უმაღლესის სენატის გადაწყვეტილებით თავადთა სიაში ჩაირიცხნენ: 1) ნიკოლოზ და ათანასე ლეონტიძის ძენი და 2) მისივე იოსების ძე და შვილები მისნი მისივე და თამარი.

6 დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში აღნიშნულნი არიან: დანაბნენი თავადნი ვახუშტისძენი.

და რადგანაც მარტოკა სიარული არ შეეძლო, თეო შეუჯდა მხარში და აივანზე გამოიყვანა.

ოხ, თეო, როგორი გტანჯავ, ნეტა ერთი ჩქარა გავსაღდე, რომ შენ წვალეზიდგან გაგანთავისუფლო, წყნარად ეუბნებოდა ზურამ თეოს და ისეთი თვლით უყურებდა, რომ მტერსაც-კი შეეცოდებოდა ესოდეს-საღ ძალ-ღონით ხავე ვაქაცი და დღეს-კი მარტო თვალმებით გადაქცეული.

ნუ გეშინიან, ნუ გეშინიან ჩემო სიკაცხლე, ღმერთს სამართალი არა აქვს?! გაუბედავად უთხრა თეომ და თვალები წყლით ავესო.

ჰმ, ჩიციანა ზურამ, როგორ არა აქვს, ჩემო სალოცავო, მაგრამ იმასაც მსხვერპლი უნდა, გაიხუმრა ზურამ. სიჩუმე ჩამოვარდა.

ნეტა, აიმ ფერდობში ვინ მოღრიტინებს იმ დანჯღრეული ურმითა, იკითხა ცოტა ხანს შემდეგ ზურამ და თეოს თითით ანიშნა.

არ ვიცი, გენაცვავა. ეს იყო ეფემია, რომელიც თეოსა და ზურამს სანახავად მოდიოდა.

ვიდრე თეო და ზურამ ამ ლაპარაკში იყვნენ, სოფლის დედაკაცებს ხმა გაეგდოთ სოფელში ზურამს შეწუხების თაობაზე, ყველა ერთად შეგროვილიყო და მწუხარებით აღეგნებდნენ თვალ-ყურს.

ღმერთს სამართალი არა აქვს?! გაისმოდა აქეთ იქიდან. ვიხე, ჩვენო თეო, იმეორებდნენ მეორენი. თეო-კი იმედით სულდგმულობდა.

მოსწყინდა ზურამ გარეთ ყოფნაც და ისევ დაწოლა მოუნდა.

ნუ-თუ ისე მოგვედებო, რომ ჩემს მტრებს სამაგიერო არ გადავუ-

ღვინ თავადს რკინის გზის ვაკუალზე აგზავნიდნენ სასტუმროდამ, მას წარუდგინეს სასტუმროში დანახარჯის სია; თავადმა ფულს უქონლობის გამო უნა სთქვა დანახარჯის გასწორებაზე, არ მისცა არაფერი აგრეთვე სასტუმროს მსახურს, რომელიც შეეტლეს გაუსწორდა თავის ჯიბიდან, რადგანაც თავადს წარბი იფუფი არა ჰქონდა. მიხედა იმის, რომ იარსებას ზოლოდნი თავადს დაეძებდა, ყოფილად შემდეგი: სასტუმროს პატრონის კუჭკუჭოსათვის იარსებაში თავადს დანახარჯი არ მიუცია და ნომრის გასაღებიც თან წამოუღია.

სამართლმოს თავადნი. საქართველოს მეფის შაჰ-ნავაზის 1663 წლის გუჯარში ბაზაქთ-უსურქისა დათუნ-სანინისა და შიღინის მისნი დაჯიოთ, სანინა, ზაჰა, ლეონტი, რეჰანი და ბერი ვახუშტისძენი თავადებად არიან წადებულნი.

20 სექტემბერს 1825 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში აღნიშნულნი არიან: გრიგოლ გიორგის ძე და შვილები მისი: ლეონტი, იოსებ, გიორგი და ფრიდონი.

4 მაისს 1849 წ. და 8 დეკემბერს 1886 წ. უმაღლესის სენატის გადაწყვეტილებით თავადთა სიაში ჩაირიცხნენ: 1) ნიკოლოზ და ათანასე ლეონტიძის ძენი და 2) მისივე იოსების ძე და შვილები მისნი მისივე და თამარი.

6 დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში აღნიშნულნი არიან: დანაბნენი თავადნი ვახუშტისძენი.

და რადგანაც მარტოკა სიარული არ შეეძლო, თეო შეუჯდა მხარში და აივანზე გამოიყვანა.

ოხ, თეო, როგორი გტანჯავ, ნეტა ერთი ჩქარა გავსაღდე, რომ შენ წვალეზიდგან გაგანთავისუფლო, წყნარად ეუბნებოდა ზურამ თეოს და ისეთი თვლით უყურებდა, რომ მტერსაც-კი შეეცოდებოდა ესოდეს-საღ ძალ-ღონით ხავე ვაქაცი და დღეს-კი მარტო თვალმებით გადაქცეული.

ნუ გეშინიან, ნუ გეშინიან ჩემო სიკაცხლე, ღმერთს სამართალი არა აქვს?! გაუბედავად უთხრა თეომ და თვალები წყლით ავესო.

ჰმ, ჩიციანა ზურამ, როგორ არა აქვს, ჩემო სალოცავო, მაგრამ იმასაც მსხვერპლი უნდა, გაიხუმრა ზურამ. სიჩუმე ჩამოვარდა.

ნეტა, აიმ ფერდობში ვინ მოღრიტინებს იმ დანჯღრეული ურმითა, იკითხა ცოტა ხანს შემდეგ ზურამ და თეოს თითით ანიშნა.

არ ვიცი, გენაცვავა. ეს იყო ეფემია, რომელიც თეოსა და ზურამს სანახავად მოდიოდა.

ვიდრე თეო და ზურამ ამ ლაპარაკში იყვნენ, სოფლის დედაკაცებს ხმა გაეგდოთ სოფელში ზურამს შეწუხების თაობაზე, ყველა ერთად შეგროვილიყო და მწუხარებით აღეგნებდნენ თვალ-ყურს.

ღმერთს სამართალი არა აქვს?! გაისმოდა აქეთ იქიდან. ვიხე, ჩვენო თეო, იმეორებდნენ მეორენი. თეო-კი იმედით სულდგმულობდა.

მოსწყინდა ზურამ გარეთ ყოფნაც და ისევ დაწოლა მოუნდა.

ნუ-თუ ისე მოგვედებო, რომ ჩემს მტრებს სამაგიერო არ გადავუ-

ღმერთს სამართალი არა აქვს?! გაისმოდა აქეთ იქიდან. ვიხე, ჩვენო თეო, იმეორებდნენ მეორენი. თეო-კი იმედით სულდგმულობდა.

მოსწყინდა ზურამ გარეთ ყოფნაც და ისევ დაწოლა მოუნდა.

თელი უნდა ჩამოვრთმია. „ვი, ჩემი სანთელი ვაქრო!“ დაიწყო თურმე საპატარძლომ გულსაღივის ხმითა და გულშემოყრილი გადმოქცა. მისცივიდნენ იქ მყოფნი, შეეცადნენ მოებრუნებინათ, მაგრამ ამაოდ ჩაუარათ ყოველმანვე ცდამ: ტრაპუნის წინ ქალი ელდისაგან გადაიცვალა. (ბ. ვ.)

წერილი ამავეი

გაზ. „ნოვოსტი დნია“-ს სიტყვით, რომელში ჩასულა ვიდეო გაცხადებანი, რომელიც თავის თავს „სამხედრო სხმალდას სახლდად თავად ტაქტიკად თურმე უწოდებდა“. ახლგაზნა თავადი საზღვაო ოფიცრის ფორმით იყო და გარდა ამისა მას ჰქონდა ხმალი, რომელსაც სასტიკად იყენებდა და ქვეითა ჯარის ოფიცრები ატარებენ. რომელშიც რომ ჩავიდა, ოფიცრები სულ-გაშლილად იწოდებდნენ; შიშვლად სამაზრო სამხედრო უფროსთან მივიდა, უთუდა იმისათვის, რომ თავისი დოკუმენტები ეჩვენებინა. სასტუმროში ერთს დღე-ღამეში კარგა ზღვამად დახარჯა ფული, რაცაც სასტუმროს პატრონისათვის არ მიუცია. დღისით თავადი ტაქტიკად ეტლით დასიარობდა. როდესაც რომელიღაც პოლიციის მოსახლეს იარსებაში პოლიციის მოსახლეს დაეშინა, თავადს და სპიროს საბუთის ქაღალდები მოსთხოვეს, თავადი ჯერ შეშფოთდა, მაგრამ მერე მთელი გრძობა ქაღალდები წარუდგინა. პოლიციამ ოფიცრის ხმალი ატყისა და ნომერი გაუხსნა; სხვათა შორის, განსრევის დროს პოლიციამ ახვან ნომერში წვრილად დახეული ქაღალდები, რომელიც მოჭკინება და იარსებაში გაგზავნა. როდესაც პოლიციის მოსახლეს მიხვდა, ვის შესახებაც ელაპარაკებოდნენ.

ქიტიაურმა ტურმეში ჩიციანა, კაბის კალთა ფლოსტზე გადაიფარა, მერე უშობლ-ქვეშ შეხედა თეოსა და გაუბედავად უთხრა.

შენ-კი გადღებდნენ ღმერთმა, ჩვენო ბატონო, რომ ეგეთი ხარ. მე თქვენ ავადმყოფზე მოგახსენებთ, ავად თქვენი მტერი და ღმერთი იყვეს.

ჰო, ეგრე თქვი შე დალოცვილო, ღმერთივე უთხრა თეომ. მადლობა ღმერთს ცოტა უკედ არის.

ბენა, ღმერთს სამართალი არა აქვს!! კარგად უნდა იყვეს მარა? ჩვერია მესამე ლაპარაკში.

ნუ-კი გეწყინება, შენი ჰირიმე და, აი ეს ოთხიღდე ამილაური მოგართვით, ამბობენ კარგიაო, ავადმყოფს გულს უზავინისო, სთქვა მეოთხემ და ამ სიტყვებით ოთხი ვაშლი ჯიბიდან ამოიღო და მოწიწებით გაუწოდა.

თეომ დიდი, დიდი მადლობა გადაუხადა და ვაშლები ჩამოართვა. ძლიერ იამა კიდევ. მართალია ბევრი არა იყო-რა, მაგრამ გლეხის ქალის მზრუნველობამ გულში სიამოვნებით უღიტინა.

ქა, სად იზოვე, ქალო, ამ გაზაფხულის პირზე მაგეთი დაკროლებული ვაშლები, გაიკვირვა ქიტიაურმა.

რო იცოდე, ქალო, უზახუსეს, ი ჩვენ სასიკვდილედ კატუქას ბედელში ჰქონდა შენახული, მაშა! ძან-კი გაგვიკვირდა, რო ანგრე შენახულა.

ბატონო, კვლავ მიმართეს თეოს, ი თქვენი ყმაწვილი რას უფრო იტკივებს? თეოს პასუხის მიცემა

სარგებლობას, რომელიც თან მოჰყვება გზის მიმართულების შეცვლას თანახმად ქუთაისის შუამდგომლობისა! ნუ-თუ მანცა და მანცა ბბ. ინტენერთა ჟინმა უნდა გაიტანოს ლელო?!

შურნალ-გაზეთიანი

ამოკრებილი ამბები.

ლოკატორს შილს მოუგონია საწველავი ძროხებისა. პატარა მანქანა, რომელიც სწველს ძროხასა, ეხლან წარდგენილი იყო ლონდონში სასაფლაო მებრუნების გამოფენაზე. იგი ჯამივით რალაცა კაუჩუკისა, მიედგმის ძროხის კურსა ხელით და ისე სწველავს თითქო ხბო სწოვსო. ამისთანა პატარა მანქანით ერთი კაცი 10 წუთში თორმეტს ძროხას ადვილად მოსწველს თურმე. (რ. ვ.)

ფეხთ-საცმელთა მკერავ ფაბრიკაშია შემოკრებილი ახალი მანქანა ამერიკაში. ამ მანქანის შემწველით ერთის დღის განმავლობაში ერთი კაცი 300 წყვილს წულას (ბაშმაქა) ასწორავს თურმე. (რ. ვ.)

ანტირეტული ხალხის ამერიკელები, ერთს წიგნთა ვაჭარს, რომელსაც ვაჭრობა ჰქონდა უფრო ზანგებთან (ნეგრებთან) და ზანგები ხომ დიდი ღვთის-მოყვარენი არიან, დაუბეჭდა ეხლან დასურათებული ბიბლია. რადგანაც სახეში ჰქონია, რომ ჩემი მუშტრები უფრო ზანგები იქნებინათ, აუღინა და ანგელოზები შავის სახით დაუბატონებინა. რა თქმა უნდა, იმოდენა მუშტარის დსტეშია, რომ ძლიერ-ლა ასდისო. (ბ. ვ.)

ამაოდ-მორწმუნებებს დღეს აქამომდე თავისი ზედ-მოქმედება არ დაუკარგავს. არამც თუ უფიც ხალხზე, არამედ გონება გახსნილზედაც განათლებულ ერთა შორის, ეხლან ერთს სოფელში ბოლშევიკი ჯვარის წერა ყოფილა. საქმრო საპატარძლო უკვე წამდგარან ჯვარის საწერად და როცა მოძღვარს სანთელი მიუწვდია მეჭორწინეთათვის, უეცრად საპატარძლოს სანთელი გაქრობადა მაშინ, როცა მოძღვარისათვის სანთელი უნდა ჩამოვრთმია.

რამე კვალი ამათ გონებით განვითარებაში. ოპ, რა ბედნიერი ვიქნები მაშინ. ეხლა ხომ ჩემი ზურა ჩემთან იქნება და ეგეც მომეწველებო. ღმერთო შენითა! მაგრამ ენახოთ გამოცდაზე რას იზამენ ჩემი გოგობიქები, შეიძლება მაშინ რამე დახმარება ვთხოვო მთავრობასა... თეომ ფიქრი გასწყვიტა, რადგანაც თავისკენ მომავალი რამდენიმე დედაკაცი ღინახა.

შუადღე მშვიდობისა, ბატონო, ერთხმად მიესალმნენ დედაკაციები და ჩამომწყვიდნენ, ისე-კი რომ ყველა მათგანი სკდლილობდა ერთი მეორეს მოჰფარებოდა.

ღმერთმა გაცოცხლოთ, მშვიდად სალამი გადაუხადა თეომ.

დედაკაციები ერთ ხანს გაიხრებულნი იყვნენ, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდნენ. თეომ შენიშნა, რომ სცხვენოლათ და ღმირილი მიმართა.

რა ვქნა პირველად მხედავთ, თუ რა ამბავია. ნუ ხართ, ადამიანებო, ეგრეთი მორიდებულნი. და მერე კერძოდ უთხრა ერთს მათგანს.

სხვა, სიღონია, დაგებრუნდა შენი ბიჭი, სამუშაოდ რომ იყო წასული?

დიახ, შენი ჰირიმე, დაბრუნდა, მაგრამ ფეხზე რალაც მუწუქი გამოსვლია და ლამის არ ვიცი რა მოუვიდეს.

რა უნდა მოუვიდეს. უბრალო თვალი იქნება რამე, ანუგემა თეომ.

ეგ-კი არა და ბატონი როგორა ბრძანდება? დაეკითხა ერთი მათგანი თეოს.

ვინ ბატონია, ქიტიაურო. ეგ რომელი ბატონი გაგჩენის კიდევ, გაეხუმრა თეო, თუმცა-კი კარგად

